

**შპს დ&ლ სერვის ჯგუფი**

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**

**2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული**

**საანგარიშგებო წლისთვის**

|                                                                  |   |
|------------------------------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება .....         | 4 |
| სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება .....               | 5 |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება ..... | 6 |

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

|                                                                  |    |
|------------------------------------------------------------------|----|
| 1. ზოგადი ინფორმაცია.....                                        | 7  |
| 2. მომზადების საფუძვლები.....                                    | 7  |
| 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა .....            | 8  |
| 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები ..... | 13 |
| 5. ძირითადი საშუალებები .....                                    | 14 |
| 6. არამატერიალური აქტივები .....                                 | 15 |
| 7. გუდვილი.....                                                  | 15 |
| 8. მარაგები .....                                                | 16 |
| 9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....                               | 16 |
| 10. ფული და ფულის ეკვივალენტები.....                             | 16 |
| 11. მიღებული სესხები.....                                        | 17 |
| 12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები .....                          | 17 |
| 13. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი .....              | 18 |
| 14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები .....             | 18 |
| 15. პირობითი ვალდებულებები და აქტივები.....                      | 18 |
| 16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....                      | 19 |

შპს დ&ლ სერვის ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

|                                       | შენიშვნა | 31 დეკემბერი<br>2018 | 1 იანვარი 2018     |
|---------------------------------------|----------|----------------------|--------------------|
| <b>აქტივები</b>                       |          |                      |                    |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>          |          |                      |                    |
| ძირითადი საშუალებები                  | 5        | 3,644,678            | 2,714,977          |
| არამატერიალური აქტივები               | 6        | 55,463               | 5,021              |
| გუდვილი                               | 7        | 645,913              | 723,422            |
| ინვესტიციები                          |          | -                    | -                  |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>      |          | <b>4,346,054</b>     | <b>3,443,420</b>   |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>             |          |                      |                    |
| მარაგები                              | 8        | 2,278,960            | 1,446,975          |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები            | 9        | 3,189,000            | 2,941,226          |
| საგადასახადო აქტივი                   |          | 170,927              | 27,866             |
| ფული და ფულის ექვივალენტები           | 10       | 114,492              | 73,591             |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>         |          | <b>5,753,379</b>     | <b>4,489,658</b>   |
| <b>სულ აქტივები</b>                   |          | <b>10,099,433</b>    | <b>7,933,078</b>   |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>      |          |                      |                    |
| <b>კაპიტალი</b>                       |          |                      |                    |
| საწესდებო კაპიტალი                    |          | 200                  | 200                |
| გაუნაწილებელი მოგება                  |          | 166,931              | (1,342,630)        |
| არამაკონტროლებელი წილი                |          | 91,118               | 103,527            |
| <b>სულ კაპიტალი</b>                   |          | <b>258,249</b>       | <b>(1,238,903)</b> |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>     |          |                      |                    |
| სესხები                               | 11       | 6,169,820            | 6,901,369          |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b> |          | <b>6,169,820</b>     | <b>6,901,369</b>   |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>        |          |                      |                    |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები         | 12       | 2,666,717            | 2,198,461          |
| საგადასახადო ვალდებულებები            |          | 136,066              | 72,148             |
| მოკლევადიანი სესხები                  | 11       | 868,580              | -                  |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>    |          | <b>3,671,363</b>     | <b>2,270,609</b>   |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>  |          | <b>10,099,433</b>    | <b>7,933,078</b>   |

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 27 დეკემბრის შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

 ანიკო ხომასურიძე

მთავარი ბუღალტერი

 ანა ბედოიძე

6-18 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## შპს დ&amp;ლ სერვის ჯგუფი

## ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

|                                       | შენიშვნა | 31 დეკემბერი<br>2018 | 1 იანვარი 2018     |
|---------------------------------------|----------|----------------------|--------------------|
| <b>აქტივები</b>                       |          |                      |                    |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>          |          |                      |                    |
| ძირითადი საშუალებები                  | 5        | 3,644,678            | 2,714,977          |
| არამატერიალური აქტივები               | 6        | 55,463               | 5,021              |
| გუდვილი                               | 7        | 645,913              | 723,422            |
| ინვესტიციები                          |          | -                    | -                  |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>      |          | <b>4,346,054</b>     | <b>3,443,420</b>   |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>             |          |                      |                    |
| მარაგები                              | 8        | 2,278,960            | 1,446,975          |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები            | 9        | 3,189,000            | 2,941,226          |
| საგადასახადო აქტივი                   |          | 170,927              | 27,866             |
| ფული და ფულის ექვივალენტები           | 10       | 114,492              | 73,591             |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>         |          | <b>5,753,379</b>     | <b>4,489,658</b>   |
| <b>სულ აქტივები</b>                   |          | <b>10,099,433</b>    | <b>7,933,078</b>   |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>      |          |                      |                    |
| <b>კაპიტალი</b>                       |          |                      |                    |
| საწესდებო კაპიტალი                    |          | 200                  | 200                |
| გაუნაწილებელი მოგება                  |          | 166,931              | (1,342,630)        |
| არამაკონტროლებელი წილი                |          | 91,118               | 103,527            |
| <b>სულ კაპიტალი</b>                   |          | <b>258,249</b>       | <b>(1,238,903)</b> |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>     |          |                      |                    |
| სესხები                               | 11       | 6,169,820            | 6,901,369          |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b> |          | <b>6,169,820</b>     | <b>6,901,369</b>   |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>        |          |                      |                    |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები         | 12       | 2,666,717            | 2,198,461          |
| საგადასახადო ვალდებულებები            |          | 136,066              | 72,148             |
| მოკლევადიანი სესხები                  | 11       | 868,580              | -                  |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>    |          | <b>3,671,363</b>     | <b>2,270,609</b>   |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>  |          | <b>10,099,433</b>    | <b>7,933,078</b>   |

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 27 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი \_\_\_\_\_ აჩიკო ხომასურიძე

მთავარი ბუღალტერი \_\_\_\_\_ ანა ბედლიძე

6-19 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**შპს დღლ სერვის ჯგუფი**

**სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება**

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

|                                                          | შენიშვნა | 2018               |
|----------------------------------------------------------|----------|--------------------|
| შემოსავალი საინვესტიციო ქონების იჯარიდან                 |          | 235,216            |
| შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან                      |          | 10,199,869         |
| შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან                        |          | 40,813             |
| სხვა შემოსავალი                                          |          | 1                  |
| <b>საერთო მოგება</b>                                     |          | <b>10,475,899</b>  |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება                    |          | (8,668,178)        |
| თანამშრომელთა ხელფასი და სარგებელი                       | 13       | (740,075)          |
| კომერციული ხარჯი                                         |          | -                  |
| ცვტა და ამორტიზაცია                                      |          | (158,711)          |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები               | 14       | (1,241,242)        |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                 |          | <b>(332,307)</b>   |
| ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა                     |          | (582,175)          |
| კურსთაშორის სხვაობით წარმოშობილი მოგება/(ზარალი), წმინდა |          | (146,433)          |
| არასაოპერაციო შემოსავალი/(ზარალი), წმინდა                |          | (67,400)           |
| <b>წმინდა მოგება</b>                                     |          | <b>(1,128,315)</b> |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                |          | -                  |
| <b>მთლიანი სრული მოგება</b>                              |          | <b>(1,128,315)</b> |
| მიკუთვნებული:                                            |          |                    |
| სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე                             |          | (1,115,906)        |
| არამაკონტროლებელ წილზე                                   |          | (12,409)           |

6-19 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**შპს დმლ სერვის ჯგუფი**

**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება**

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

|                                         | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | NCI            | სულ                |
|-----------------------------------------|-----------------------|-------------------------|----------------|--------------------|
| <b>ნაშთი 2017 წლის 1 იანვრისთვის</b>    | <b>200</b>            | <b>(1,342,630)</b>      | <b>103,527</b> | <b>(1,238,903)</b> |
| დამატებითი შენატანი                     | -                     | 2,294,093               | -              | 2,294,093          |
| კორექტირება                             | -                     | 314,805                 | 16,569         | 331,374            |
| წლის მთლიანი სრული მოგება               | -                     | (1,115,906)             | (12,409)       | (1,128,315)        |
| <b>ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის</b> | <b>200</b>            | <b>150,362</b>          | <b>107,687</b> | <b>258,248</b>     |

6-19 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## შპს დმლ სერვის ჯგუფი

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

#### 1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს დმლ სერვისისა (დედა კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიის სს თბილისის საზეინკლო-სამონტაჟო ინსტრუმენტების ქარხანა (შემდგომში ერთობლივად „ჯგუფი“ ან „დმლ სერვისის ჯგუფი“) 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის.

დედა კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2008 წელს. ის რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო კოდით 204557461.

დედა კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ჰიგიენური საშუალებების საქონლის იმპორტი და დისტრიბუცია.

2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფის მფლობელები არიან:

| მფლობელები        | 31 დეკემბერი<br>2018 | 1 იანვარი<br>2018 |
|-------------------|----------------------|-------------------|
| გიორგი ჭაჭიაშვილი |                      | 25%               |
| ვახტანგ თოფურია   |                      | 25%               |
| არჩილ ხომასურიძე  |                      | 25%               |
| შოთა ხარაზიშვილი  |                      | 25%               |
| ქიზარ ხალვაში     | 100%                 |                   |

დედა კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, აბო თბილელის, №10.

დედა კომპანიას ჰყავს ერთი შვილობილი - სს თბილისის საზეინკლო-სამონტაჟო ინსტრუმენტების ქარხანა, რომელშიც ფლობს წილის 95%-ს. სს თბილისის საზეინკლო-სამონტაჟო ინსტრუმენტების ქარხნის საოპერაციო საქმიანობაა უძრავი ქონების მშენებლობა.

#### 2. მომზადების საფუძვლები

##### ანგარიშგების შესაბამისობა

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ეს არის ჯგუფის პირველი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის და მსს ფასს 35-ე განყოფილების „მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლა“ შესაბამისად. ჯგუფის მსს ფასზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

ჯგუფი აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

##### შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ჯგუფი ზოგადად არ მოელოს, რომ მსს ფასს სტანდარტების 35.11 პუნქტის ფარგლებში განსახორციელებელი რომელიმე შესწორება არაპრაქტიკული იქნება ჯგუფისათვის.

### **ფუნქციონირებადი საწარმო**

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია ჯგუფისათვის.

### **კონსოლიდაციის საფუძველი**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს დედა კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ინფორმაციას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც დედა კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

დედა კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შემთხვევაში, ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

### **კონსოლიდაციის მიზნებისთვის ელიმინირებული ტრანზაქციები**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ელიმინირებულია შიდა ჯგუფური ტრანზაქციები და ამ ტრანზაქციების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ან ზარალი.

## **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა**

### **ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შეძენის მიმდინარე ფასს.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.

ცვეთა ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად. სასარგებლო მომსახურების

## შპს დგლ სერვის ჯგუფი

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

#### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

პერიოდი და ცვეტის მეთოდი მიმოხილვა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

|                                     |           |
|-------------------------------------|-----------|
| შენობა - ნაგებობები                 | 5%        |
| მანქანა - დანადგარები               | 20% - 50% |
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | 5%        |
| ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი     | 20%       |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი             | 20%       |
| სატრანსპორტო საშუალებები            | 5%        |
| სხვა ძირითადი საშუალებები           | 20%       |

#### მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებულია აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები). რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

#### ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

#### სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ანარჩის გამოკლებით.

ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა მოთხოვნიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების მეშვეობით.

კომპანია გაუფასურებულად მიიჩნევს სავაჭრო მოთხოვნების იმ ნაწილს, რომლის ვადაგადაცილება 720 დღეზე მეტია.

### **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

#### **სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიღებული სერვისის ან შემძენილი საქონლის სანაცვლოდ მომწოდებლისთვის გადასახდელი თანხები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

#### **კაპიტალი და დივიდენდები**

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

#### **დაბეგვრა**

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ახალი მოდელი შევიდა ძალაში. აღნიშნული ცვლილების მიზანი მოგების გადასახადის ადმინისტრირების გამარტივება და ბიზნესის ზრდის ხელშეწყობაა. ახალ მოდელში მთავარ ცვლილებას ერთობლივი შემოსავლის დაბეგვრის გადავადებაა, გაუნაწილებელი მოგების დივიდენდის სახით გაცემამდე. აღნიშნული ცვლილება გაზრდის მოგების რეინვესტირების მოცულობას. მოგების გადასახადის განაკვეთი არ იცვლება და ძველი მოდელის მსგავსად 15% რჩება. დამატებით წლიურად დაბეგვრის ნაცვლად, გადასახადის დარიცხვა ყოველთვიურად მოხდება. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი ტრანზაქციები/გადახდები: დივიდენდის გაცემა; სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ. მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობა არ გვაქვს. შესაბამისად, არ წარმოიქმნება გადავადებული გადასახადი.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

#### **შემოსავალი**

ჯგუფის საოპერაციო შემოსავლები არის შემოსავალი საქონლის მიწოდებით და/ან მომსახურების გაწევით, საიდანაც გამოიქვეყნება სავაჭრო ფასდაკლება და სხვა ფასდაკლება, აგრეთვე დამატებული ღირებულების გადასახადი და სხვა გადასახადები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ბრუნვასთან.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლების აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მომხმარებელს გადასცემს მფლობელობასთან და მართვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს და სარგებელს.

#### **ხარჯების აღიარება**

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების ოდენობა აღიარდება დარიცხვის პრინციპის საფუძველზე, კერძოდ, ხარჯები აღირიცხება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ისინი წარმოიშვა და არა ფულადი სახსრების გადახდის საფუძველზე. საანგარიშგებო წელთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება, მიუხედავად გადახდის ან ინვოისის მიღების თარიღისა.

## შპს დგლ სერვის ჯგუფი

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დარიცხვის საფუძველზე, ხარჯები შესაბამისობაშია შემოსავალთან შესაბამის საანგარიშო პერიოდებში.

ხარჯების აღიარების პოლიტიკა:

- მიღებული მომსახურებისთვის - მომწოდებლისგან მიღებული ინვოისი, დასტური, რომ მომსახურება გაწეულია.
- შესრულებული სამუშაოსთვის - შემსრულებლისგან მიღებული ინვოისი, შემსრულებლისა და მიმღების მიერ ხელმოწერილი აქტი გაწეული სამუშაოების შესახებ.
- შეძენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისათვის - პირველადი დოკუმენტაციის საფუძველზე (ინვოისები, ჩეკები).

სხვა არასაოპერაციო ხარჯებში აღიარებულია ნებისმიერი ხარჯი, რომელიც გაწეულია კომპანიის მიერ შემოსავლის მისაღებად.

ჯგუფი უზრუნველყოფს ხარჯების აღრიცხვას შესაბამისი მუხლების მიხედვით.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

### ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

### უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრისთვის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

|                                           | აშშ დოლარი | რუბლი  | ევრო   |
|-------------------------------------------|------------|--------|--------|
| გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.6766     | 4.4935 | 3.0701 |
| გაცვლითი კურსი 2018 წლის 1 იანვრისთვის    | 2.5922     | 3.8588 | 3.1044 |

### ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოოდან გასვლა. ვალდებულების წამომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც კომპანიამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება ჯგუფის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, ჯგუფი სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, ჯგუფი აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

ტერმინი “პირობითი ვალდებულება” გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა; და
- პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:
  - შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა ჯგუფს მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლას; ან
  - მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა, ან შეუძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობითი ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოძენა. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

#### საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

#### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

##### ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. დამატებითი ინფორმაცია ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების შესახებ მოცემულია მე-5 განმარტებით შენიშვნაში.

##### ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურებას წარსული გამოცდილების საფუძველზე. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

**შპს დღლ სერვის ჯგუფი**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

**5. ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები 2018 წლის 31 დეკემბრისთვის და 1-ლი იანვრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| ისტორიული<br>ღირებულება          | მიწის<br>ნაკვეთები | შენობა-<br>ნაგებობები | დაუმთავრებელი<br>მშენებლობა | მანქანა-<br>დანადგარები | იჯარით<br>აღებული<br>ქონების<br>კეთილმოწყობა | ავიჯი და<br>სხვა<br>ინვენტარი | სატრანსპორტო<br>საშუალება | ოფისის<br>აღჭურვილობა | სხვა<br>ძირითადი<br>საშუალება | სულ              |
|----------------------------------|--------------------|-----------------------|-----------------------------|-------------------------|----------------------------------------------|-------------------------------|---------------------------|-----------------------|-------------------------------|------------------|
| <b>1 იანვარი 2018</b>            | <b>2,040,524</b>   | <b>1,311</b>          | <b>202,128</b>              | <b>11,542</b>           | <b>32,636</b>                                | <b>22,342</b>                 | <b>429,961</b>            | <b>123,200</b>        | <b>82,811</b>                 | <b>2,946,455</b> |
| შემოსვლა                         | -                  | -                     | 965,221                     | 10,590                  | 1,251                                        | 17,737                        | 29,569                    | 16,035                | 26,006                        | <b>1,066,409</b> |
| გასვლა                           | -                  | -                     | -                           | -                       | (337)                                        | -                             | (30,284)                  | -                     | (512)                         | <b>(31,134)</b>  |
| <b>31 დეკემბერი 2018</b>         | <b>2,040,524</b>   | <b>1,311</b>          | <b>1,167,349</b>            | <b>22,132</b>           | <b>33,550</b>                                | <b>40,079</b>                 | <b>429,245</b>            | <b>139,235</b>        | <b>108,305</b>                | <b>3,981,730</b> |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>           |                    |                       |                             |                         |                                              |                               |                           |                       |                               |                  |
| <b>1 იანვარი 2018</b>            | <b>-</b>           | <b>(600)</b>          | <b>-</b>                    | <b>(1,077)</b>          | <b>(6,093)</b>                               | <b>(11,888)</b>               | <b>(107,316)</b>          | <b>(56,951)</b>       | <b>(47,554)</b>               | <b>(231,479)</b> |
| წლის ცვეთა                       | -                  | -                     | -                           | (5,142)                 | (5,007)                                      | (8,930)                       | (66,218)                  | (14,626)              | (12,939)                      | <b>(112,861)</b> |
| გასული<br>აქტივების ცვეთა        | -                  | -                     | -                           | -                       | -                                            | -                             | 6,922                     | -                     | 365                           | <b>7,287</b>     |
| <b>31 დეკემბერი 2018</b>         | <b>-</b>           | <b>(600)</b>          | <b>-</b>                    | <b>(6,218)</b>          | <b>(11,101)</b>                              | <b>(20,817)</b>               | <b>(166,612)</b>          | <b>(71,577)</b>       | <b>(60,127)</b>               | <b>(337,053)</b> |
| <b>ნეტო საბალანსო ღირებულება</b> |                    |                       |                             |                         |                                              |                               |                           |                       |                               |                  |
| <b>1 იანვარი 2018</b>            | <b>2,040,524</b>   | <b>710</b>            | <b>202,128</b>              | <b>10,466</b>           | <b>26,542</b>                                | <b>10,454</b>                 | <b>322,645</b>            | <b>66,249</b>         | <b>35,258</b>                 | <b>2,714,977</b> |
| <b>31 დეკემბერი 2018</b>         | <b>2,040,524</b>   | <b>710</b>            | <b>1,167,349</b>            | <b>15,914</b>           | <b>22,449</b>                                | <b>19,262</b>                 | <b>262,634</b>            | <b>67,658</b>         | <b>48,178</b>                 | <b>3,644,677</b> |

## შპს დღლ სერვის ჯგუფი

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

#### 6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2018 წლის 31 დეკემბრისთვის და 1-ლი იანვრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| ისტორიული ღირებულება             | ოფისის<br>აღჭურვილობა | კომპიუტერული<br>ტექნიკა |
|----------------------------------|-----------------------|-------------------------|
| 1 იანვარი 2018                   | 18,074                | 18,074                  |
| შემოსვლა                         | 55,239                | 55,239                  |
| გასვლა                           | -                     | -                       |
| 31 დეკემბერი 2018                | 73,313                | 73,313                  |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>           |                       |                         |
| 1 იანვარი 2018                   | (13,052)              | (13,052)                |
| წლის ცვეთა                       | (4,797)               | (4,797)                 |
| გასული აქტივების ცვეთა           | -                     | -                       |
| 31 დეკემბერი 2018                | (17,850)              | (17,850)                |
| <b>ნეტო საბალანსო ღირებულება</b> |                       |                         |
| 1 იანვარი 2018                   | 5,021                 | 5,021                   |
| 31 დეკემბერი 2018                | 55,463                | 55,463                  |

#### 7. გუდვილი

გუდვილი წარმოადგენს სხვაობას შვილობილ საწარმოში განხორციელებულ ინვესტიციასა და შეძენილი ნეტო აქტივების რეალურ ღირებულებას შორის. გუდვილის გაანგარიშება შესაძლებელია წარმოადგენილ იქნას შემდეგნაირად:

გადახდილი ინვესტიცია 2,889,000

შეძენილი ნეტო აქტივების რეალური  
ღირებულება

ძირითადი საშუალებები 2,209,986.00

მარაგები 120,029.00

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 15,954.00

საგადასახადო აქტივი -

ფული და ფულის ექვივალენტები 356.00

სესხები (106,960.00)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (1,917.00)

საგადასახადო ვალდებულებები (12,285.00)

სულ ნეტო აქტივების ღირებულება 2,225,163

95% 2,113,905

გუდვილი 775,095

უმცირესობის წილი 111,258

## შპს დღლ სერვის ჯგუფი

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

#### 8. მარაგები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები (მარაგები) 2018 წლის 31 დეკემბრისთვის და 1-ლი იანვრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

|                     | 31 დეკემბერი 2018 | 1 იანვარი 2018   |
|---------------------|-------------------|------------------|
| საქონელი            | 1,914,707         | 1,287,573        |
| სარემონტო მასალები  | 364,253           | 159,402          |
| <b>სულ მარაგები</b> | <b>2,278,960</b>  | <b>1,446,975</b> |

#### 9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრისთვის და 1-ლი იანვრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

|                                       | 31 დეკემბერი 2018 | 1 იანვარი 2018   |
|---------------------------------------|-------------------|------------------|
| <b>ფინანსური მოთხოვნები</b>           |                   |                  |
| სავაჭრო მოთხოვნები                    | 3,022,489         | 2,865,883        |
|                                       | <b>3,022,489</b>  | <b>2,865,883</b> |
| გაუფასურების რეზერვი                  | -                 | -                |
|                                       | <b>3,022,489</b>  | <b>2,865,883</b> |
| <b>არაფინანსური აქტივები</b>          |                   |                  |
| სხვა                                  | 166,511           | 75,343           |
|                                       | <b>166,511</b>    | <b>75,343</b>    |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b> | <b>3,189,000</b>  | <b>2,941,226</b> |

სავაჭრო მოთხოვნების ვადაგადაცილება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                          | 31 დეკემბერი 2018 | 1 იანვარი 2018   |
|--------------------------|-------------------|------------------|
| <b>მიმდინარე</b>         |                   |                  |
| 1-30 დღე                 | 1,456,883         | 1,261,991        |
| <b>ვადაგადაცილებული:</b> |                   |                  |
| 30-60 დღე                | 667,187           | 494,126          |
| 60-90 დღე                | 247,744           | 254,016          |
| 90-180 დღე               | 311,472           | 329,585          |
| 180-365 დღე              | 339,202           | 526,165          |
| 365-720 დღე              |                   |                  |
| > 720 დღე                |                   |                  |
| <b>სულ</b>               | <b>3,022,489</b>  | <b>2,865,883</b> |

#### 10. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრისთვის და 1-ლი იანვრისთვის შეიძლება

## შპს დგლ სერვის ჯგუფი

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

|                                                 | 31 დეკემბერი<br>2018 | 1 იანვარი<br>2018 |
|-------------------------------------------------|----------------------|-------------------|
| ფული სალაროში                                   | 18,581               | 24,712            |
| ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე ლარში         | 95,911               | 48,879            |
| ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე სხვა ვალუტაში | -                    | -                 |
| <b>სულ ფული და ფულის ეკვივალენტები</b>          | <b>114,492</b>       | <b>73,591</b>     |

## 11. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2018 წლის 31 დეკემბრისთვის და 1-ლი იანვრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

|                     | 31 დეკემბერი 2018 | 1-ლი იანვარი 2018 |
|---------------------|-------------------|-------------------|
| გრძელვადიანი ნაწილი | 6,169,820         | 6,901,369         |
| მოკლევადიანი ნაწილი | 868,580           |                   |
| <b>სულ</b>          | <b>7,038,400</b>  | <b>6,901,369</b>  |

ჯგუფს აღებული აქვს გრძელვადიანი სესხი, ნომინირებული აშშ დოლარში, 7,5% -იანი წლიური სარგებლის განაკვეთით, დაფარვის ვადები განსაზღვრულია 2025 წლის 29 აპრილამდე ყოველთვიურად.

კომპანიას აქვს საკრედიტო ხაზი, რომელსაც პროცენტი ერიცხება ათვისების შესაბამისად.

კომპანიას აღებული აქვს უპროცენტო სესხი დამფუძნებელი ფიზიკური პირისგან. მენეჯმენტს სჯერა დამფუძნებელი არ მოითხოვს სესხის დაუყოვნებლივ დაბრუნებას.

ფინანსური ვალდებულების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                               | 2018               |
|-----------------------------------------------|--------------------|
| <b>ნაშთი 1 იანვრისთვის</b>                    | <b>(6,901,369)</b> |
| <b>ფულადი მუხლები</b>                         |                    |
| სესხის მიღება                                 | (2,717,694)        |
| ძირის გადახდა                                 | 470,041            |
| სესხის გადატანა საკუთარ კაპიტალში             | 2,625,468          |
| პროცენტის გადახდა                             | 206,163            |
| <b>არაფულადი მუხლები</b>                      |                    |
| საპროცენტო ხარჯი, წარდგენილი მოგება ან ზარალი | (582,175)          |
| გადაფასება                                    | (138,835)          |
| <b>ნაშთი 31 დეკემბრისთვის</b>                 | <b>(7,038,400)</b> |

## 12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრისთვის და 1-ლი იანვრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

## შპს დგლ სერვის ჯგუფი

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

|                                          | 31 დეკემბერი<br>2018 | 1 იანვარი 2018   |
|------------------------------------------|----------------------|------------------|
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>           |                      |                  |
| სავაჭრო ვალდებულებები                    | 2,666,717            | 2,198,461        |
| სხვა ვალდებულებები                       | -                    | -                |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</b> | <b>2,666,717</b>     | <b>2,198,461</b> |

### 13. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები და თანამშრომელთა სარგებელი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

|                                                      | 2018           |
|------------------------------------------------------|----------------|
| ხელფასები                                            | 572,403        |
| ბონუსები და სხვა სარგებელი                           | 167,673        |
| <b>სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი</b> | <b>740,075</b> |

### 14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

|                                                       | 2018             |
|-------------------------------------------------------|------------------|
| მივლინებისა და წარმომადგენლობითი ხარჯები              | 5,056            |
| საკონსულტაციო ხარჯი                                   | 67,441           |
| გადასახადები მოგების გადასახადის გარდა                | 56,058           |
| საწყობის ხარჯი                                        | 53,945           |
| საკომისიო ხარჯი                                       | 11,195           |
| იჯარის ხარჯი                                          | 41,871           |
| კომუნალური ხარჯი                                      | 249,097          |
| საკომუნიკაციო ხარჯი                                   | 3,856            |
| საოფისე ხარჯები                                       | 4,554            |
| მოგების გადასახადი                                    | 30,956           |
| ავტომობილის ხარჯები                                   | 286,468          |
| მარკეტინგული ხარჯი                                    | 402,879          |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯები                          | 27,866           |
| <b>სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები</b> | <b>1,241,242</b> |

### 15. პირობითი ვალდებულებები და აქტივები

#### პირობითი ვალდებულებები

**გადასახადები** - საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ ჯგუფის ბოლო სამი წლის მონაცემების შემოწმება.

## შპს დგლ სერვის ჯგუფი

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

#### 16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

33-ე განყოფილების მიხედვით ჯგუფი დაკავშირებულ მხარეებთან განიხილავს:

პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი. დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

|                                             | 2018   |
|---------------------------------------------|--------|
| უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება | 54,312 |